ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2026 წლის 20 ივლისი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის საჯარო სკოლისთვის კარლო ვარდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილის ტერიტორიაზე არსებული N3 ქუჩისთვის ოტია იოსელიანის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,
კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: ლ. ცატავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დროულად მოგვარებულიყო ქარიატისა და შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულებში სასმელი წყლის პრობლემა.

რ. ზაქარაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განმარტა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების ხელმძღვანელობასთან ჰქონდათ საუბარი და აღნიშნეს რომ უახლოეს მომავალში მოგვარდებოდა არსებული პრობლემა სასმელ წყალთან დაკავშირებით.

კითხვა პასუხის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხობის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 34079,4 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა - 50121,2 ათასი ლარის ოდენობით. დადგენილების პროექტით ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 1342,2 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 1342,2 ათასი ლარი - შემოსავალი მუხლიდან „სხვა შემოსავლები“ (მათ შორის: 600,0 ათასი ლარი -

„პროცენტი“, 742,2 ათასი ლარი - „ჯარიმები, სანქციები და საურავები“); 945,1 ათასი ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებები 378,5 ათასი ლარით, კერძოდ: 179,2 ათასი ლარით - ქვეპროგრამის „გარე განათება“ ასიგნება, მათ შორის: 179,2 ათასი ლარი - შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება"-ს სუბსიდია; 199,3 ათასი ლარით - ქვეპროგრამის ,,მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია“ ასიგნება, მათ შორის: 199,3 ათასი ლარი - შპს ,,ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება"-ს სუბსიდია. პრიორიტეტის დასუფთავება და გარემოს დაცვა ასიგნებები 566,6 ათასი ლარით, კერძოდ: 566,6 ათასი ლარით - პროგრამის ,,დასუფთავების ღონისძიებები“ ასიგნება, მათ შორის: 566,6 ათასი ლარი - შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება"-ს სუბსიდია. შემოსულობების ზრდით მიღებული 1342,2 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული 945,1 ათასი ლარი, სულ 2287,3 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 1609,2 ათასი ლარი. პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნებაზე 570,6 ათასი ლარი. პრიორიტეტის ,,განათლება“ ასიგნებაზე 66,9 ათასი ლარი. პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებაზე 40,6 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 29 მაისის №50.502614911 ბრძანებით დაფუძნდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალური სერვისების ცენტრი“, რომელიც აისახა პროგრამაში ,,გარემოს დაცვისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება“, პროგრამული კოდი 03 02. ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 29 მაისის №50.50261497 ბრძანებით დაფუძნდა ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალური წყალმომარაგების ცენტრი“, რომელიც აისახა ქვეპროგრამაში ,,მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემის მოვლა-შენახვა“, პროგრამული კოდი 02 02 08. ბიუჯეტში ასევე აისახება ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

2. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის საჯარო სკოლისთვის კარლო ვარდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია საინიციატივო ჯგუფის ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის საჯარო სკოლისთვის ყოფილი დირექტორის კარლო ვარდიას სახელის მინიჭების შესახებ. კ. ვარდია 30 წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ახალი ხიბულის საშუალო სკოლას, მის სახელს უკავშირდება სკოლის აღმშენებლობა და არაერთი წარმატება. მინიჭებული აქვს ხობის საპატიო მოქალაქის წოდება. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება განხილულ იქნა კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტი: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი ხიბულის საჯარო სკოლისთვის კარლო ვარდიას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N20 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილის ტერიტორიაზე არსებული N3 ქუჩისთვის ოტია იოსელიანის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ წინადადება, რომლებიც საკრებულოს კომისიის მიერ გატანილ იქნა საჯარო განხილვაზე, გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ იქნა წარმოდგენილი წინადადებები სახელდების შესახებ. რაც შეეხება სოფელ გიმოზგონჯილში N3 ქუჩას, წარმოდგენილ იქნა წინადადება ქართველი მწერლის ოტია იოსელიანის სახელის მინიჭების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ო. იოსელიანის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, მწერალი გარდაიცვალა 2011 წელს, კომისიის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილის ტერიტორიაზე არსებული N3 ქუჩისთვის ოტია იოსელიანის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების შემდეგ საკითხი შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად საბოლოო გადაწყვეტილებისთვის გადაიგზავნება გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრცხისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიაში. გამომსვლელის

განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კიდევ ხომ არ ექნებოდათ კითხვები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ლ. შამათავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის დანართში მითითებული იყო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, ხოლო იგივე არ იყო აღნიშნული განკარგულებით ნაწილში და აღნიშნული ქონება დამატებითი იყო თუ ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება, დაზუსტება სთხოვა მომხენებელს, რათა განკარგულების ხელმოსაწერად მომზადების პროცესში დაეკორექტირებინა აღნიშნული.

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას, პროექტით აღნიშნული ქონება წარმოადგენდა დამატებით ქონებას და სთხოვა ლ. შამათავას აღნიშნულის დაკორექტირება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელიც მდებარეობს ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარედ, (ს/კ 45.21.25.682, 45.21.25.683) პარკის ტერიტორიაზე, არის დაუტვირთავი, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაუტვირთავი 60 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, იჯარა-აღნაგობის უფლებით, აუქციონის წესით გაიცეს 5 წლის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N22 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6 და მე-7 საკითხებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საკრებულოს თანხმობის საფუძველზე დაწყებულია ორი კერძო სამართლის იურიდიული პირის: შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ და შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“-ს ლიკვიდაციის პროცესი. მუნიციპალიტეტის გამართული ფუნქციონირებისა და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების შეუფერხებლად მიწოდების მიზნით, დაფუძნდა ახალი სუბიექტები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, გამომდინარე იქედან, რომ შპს-ებს თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებებით, გადაცემული ჰქონდათ დამატებითი მუნიციპალური ქონება, ლიკვიდაციის პროცესის ფარგლებში აუცილებელია ამ სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება. შესაბამისად, მომზადდა საკრებულოს განკარგულების პროექტი, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ რომელიც ითვალისწინებს იმ ძველი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადებას, რომლებითაც ხორციელდებოდა ქონების სარგებლობაში გადაცემა და ასევე მომზადდა განკარგულების ორი პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ რომლითაც ხობის მუნიციპალიტეტის მერს ეძლევა უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების ახალი აიპიებისთვის გადაცემაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N23 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N24 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

კენჭისყრას არ ესწრებოდა: (ბ. რიჟამაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულების N25 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია

მეექვსე მოწვევის საკრებულოს 2026 წლის 20 ივლისის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. გოჩა ქაჯაია
2. მამუკა ქარდავა
3. გივი ლატარია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. აკაკი მალანია
9. ბექა მამაცაშვილი
10. ალიოშა საჯაია
11. აკაკი ხურცილავა
12. მიმოზა ლემონჯავა
13. ივერი ბერიძე
14. კობა გერგაია
15. მანუჩარ ქაძანაია
16. მზია ლემონჯარია
17. გია წულაია
18. ზაზა ალექსანდრია
19. ლაშა ცატავა
20. ირაკლი ალანია
21. გიგა კაპანაძე
22. გიორგი გოგოხია
23. ირაკლი სახურია
24. ნუგზარ შუშანია
25. ანი ბუცხრიკიძე
26. გაიოზ ქირია
27. ზვიადი სულამანიძე